ეროვნული
ბიბლიოთეკა

1913

ნაპალოული

ყაბალაბაქილი
ჟურნალი

ოცდარვა წლოვანთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი

ბიოლოგიისთვის.

№ 21

ცისკარი

წელიწადი მე-IX. № 21. ნოემბერი, 1913 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობლები.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

I — ობლები,—სურ. კუდბახისა 1

II— ქეთოს მერცხალი,— დექსი მიმქრალდისა . . . 3

III—ახალი მანქანა,—ე. ჯ.—ისა. 4

IV—ღორმუცელა,—(ზღაპარი-ხუმრობა) გიორგისა . . 10

V—დედა თაგვის დარიგება,—დექსი გ. ქუჩიშვილისა. . 17

VI—მუქთა ხორა მცენარეები,—(შედგენილი) იტა ნაკაშიძისა. . . . . , . . 18

VII—გასართობი: ეშმაკი მგელი, ამოცანა-გამოცანები, რებუსი და ალსნა 22

ტფილისი, ელექტ.-მბეჭდ. ა. ჭერესელიძისა, გაბაევის შესახვევი № 1.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქეთოს მერცხალი.

აფრინდა ქეთოს მერცხალი,
ალარ ჭიკჭიკებს ბანზედა;
ქეთო მოწყენით გაჭყურებს
ცრემლი უბრწყინავს თვალზედა,—

და ბედს ემდურის: ნეტავი
მეც რად არა მაქვს ფრთებიო,
რომ მისებრ გადავიქროლო
ცათ აბჯენილი მთებიო,

ვიხილო უცხო ქვეყანა,
იქ დავწნა თაიგულიო,
თან მოვიტანო... საშობლოს
ვახარო გაზაფხულიო
და არე-მარეს მოვფინო
სიცოცხლე-სიხარულიო.

მიმკრალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი მანქანა.

ადგა შემოდგომა. მოიწია კახეთში ეურ-მენი და ხალხიც შეუდგა რთველის თავ-დარიგს. ერთ დილას, როდესაც ის იყო მზე ამოსულიყო და ჯერ მარტო თოვლიან მთის მწვერვალებს მოეფინა,—ერთ შეძლებულ მემამულეს ოჯახში რთველის სამზადისში იყვნენ. მუშები საუზმეს ხურჯინში ალა-გებდნენ. ზოგს დოქით ღვინო მოჰქონდა მარნიდან; ზოგი სამწვადედ თხის ხორცს ჰკუწავდა წასაღებად; წინსაფარ-აფა-რებული დედაკაცებიც, კალათებით ხელში, გოდრებით სავსე ურმებთან იდგნენ და მხიარულად ლაპარაკობდნენ სასიამოვნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოს მოლოდინში. ხვარი თითქმის ორი ვერსის მანძილზე იყო. იქ უნდა დაეკრიფვათ ეურძენი და ურმებით ეზიდნათ მარანში, რომელიც აქვე სახლის გვერდით იყო აშენებული. მალე ყველა მზად იყო და მუშები ლაპარაკით და სიმღერით გაუდგნენ თავიანთ გზას. ეზოში თითქმის აღარავინ მოსჩანდა; მხოლოდ მარნიდან-ღა მოისმოდა ქვევრში მჯდომ მუშის ხმამაღალი სიმღერა. კაცს ეგონებოდა რამდენიმე ადამიანი მღერისო, ისეთ ბანს აძლევდა ცარიელი ქვევრი. მუშას გაეხადნა ახალოხი, დაეკარწახებინა, თითქმის ნახევრად ტიტველა იდგა, მაგრად უსვამდა კრაზანას *) უშველებელ ხუთ-საპალნიან ქვევრს. მარანი—კარგა მოზდილი, მოგრძო და ძველი შენობა იყო. შიგ ბნელოდა, რადგან სინათლე მარტო კარებიდან შედიოდა, თუმცა ისეთი დიდი კარები ჰქონდა, რომ თითქმის მთელი ურემი შევიდოდა. ეს მარანი სავსე იყო წვრილი და მსხვილი ქვევრებით. და ამ მარნის პატრონის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ეს ქვევრები მოსავლიან წელიწადს აივსებოდნენ ღვინით ⁄ კარგა ფულებს ჩაუჩხრიალებდნენ ჯიბეში.

მარნის ბოლოში დიდრონ კუნძებზე იდგა დიდი და დაძველებული ნავი (საწნახელი). თითქმის მთელი მარანის ბოლო ამ ნავს ეჭირა. მერე რა ამაყად იდგა, თითქოს ამბობდა: „ნუ გგონიათ უჩემოდ ამ მარანში ღვინო დასწურონო.“ მართლათაც, თუ ამ ნავში არა, ღვინოს ვერსად დასწურავდნენ. რთველის დროს დიდ პატივში იყო. უნდა გენახათ, როგორ ამაყობდა, როდესაც ეურძნით ავსებდნენ, შეუდგამდნენ ღარს, ათი-თხუთმეტი მუშა ჩადგებოდა შიგ და სჭელტდა მოწეულ ეურძენს. მარნის კარებთან სამი მუშა საწურავ მანქანას სინჯავდა, რომელიც იმ დილით პატრონს მიეღო მახლობელ ქალაქიდან. ნავს-კი უკვირდა: ეს რა ამბავია—

*) მცენარეა, ქვევრების გასარეცხად ხმარობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველი დაიწყეს, საცაა ეურძენს მოიტანენ, და მე-კი ისევ გასარეცხი ვარო?!—არც ტუჰკირები ჩამიგეს, არც ღარები მოამზადეს...

აქვე ახლოს ერთი მოხუცებული მუშა ჰატარა ქოცოს სარცხით რეცხდა; რომ გაიგონა ნავის ბუტბუტი, თავი ჩაიქნია და მწარედ წაილაპარაკა:

—ეჰ, ჩემო ბებერო ნავო, ჩვენ დავბერდით და რაღას გამოვადგებით ემაწვილ ხალხს: იმათ სუეველაფერი ახალი მოსწონთ. აგერა ახალი მანქანა მოუტანიათ და შენ მაგივრად ის უნდა ამუშაონ.

ამასობაში მუშები შემოვიდნენ მარანში, მოეხმარნენ მანქანასთან მდგომ მუშებს, ასწიეს მანქანა, დიდ კარგად გარეცხილ ქვევრზე დადგეს და გარედ გავიდნენ საუზმის საჭმელად.

მწვანე წამლით შეღებილი მანქანა ლამაზი ჰატარძალივით იყო მორთული. ძალიან ამაყობდა თავის სიკეკლუცით და იმ სარგებლობით, რომელსაც ის ჰატრონს მოუტანდა: ,,ჯერ უნდობლობით მიყურებენ,—ფიქრობდა მანქანა,—და როდესაც დაინახავენ ჩემ მუშაობას, ეველა დამაფასებს.'' ცოტა არ იყოს უკმაყოფილო იყო.

ნეტა სად მომიტანეს ამ ბნელ სახლში? რა კარგ ადგილას ვიყავი ჩემ ძველ ჰატრონთან; რამდენ ნაირი მანქანა ეწყო იქ სულ ახლად შეღებილი და აქ-კი ეს რაღა ორმოებიაო?—ამბობდა მანქანა.

— როგორ თუ ორმოები!—დაიძახეს ჰირ-ღია ქვევრებმა,—შენ არ იცი, რაც ქვეყანა დაარსებულა, მას შემდეგ სულ ჩვენ უნახავთ ღვინოს ქართველ კაცს?!

— ჰო, და კიდეც ეგ არის, რომ თქვენ დრო გადაგივიდათ, ეველაფერი ახალი შემოიღეს და თქვენამდის-კი ვერ მოაღწიეს. დაიცათ ცოტაც, ჩემო დიდ-მუცელა ქვევრებო, მალე თქვენ ნასახს მარტო ძველ ნანგრევებთან თუ იპოვიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავი ეურს უგდებდა; ბოლოს ვეღარ ძოითმინა და გადმოსძახა მანქანას:

— დაიცა, ჰრანჭია მანქანავ, იქნება ბოლოს ისევ ჩვენკენ მორბოდე; ვნახავთ შენ უნარსაც.

ამ დროს გაისმა შოლტის ტლაშუნი, მეურმეს ხმა და ეურმნით სავსე გოდრები გააჩერეს მარნის კარებთან. მუშებმა აიკალთავეს ახალოხები, წამოიკიდეს სავსე გოდრები და დაუწყეს ეურმენს ზიდვა. ამ დროს ჰატრონიც შემოვიდა; აჩვენა მუშებს, როგორ უნდა მოეხმარნათ მანქანა; ერთმა მუშამ ბორბალს დაუწყო ტრიალი და სხვები-კი ეურმენს ჭერიდნენ მანქანაში. ორი ბორბალი, რომელიც შიგნით იყო მოთავსებული, მანქანის ეუთში, ხელად სჭყლეტდა ეურმენს და ჭერიდა ქვევრში.

,,ტრა-ტა-ტა, ტრა-ტა-ტა,"—იძახდა მანქანა, და ვერცკი ასწრობდნენ მუშები გოდრების ზიდვას, ისე მარდად კეთდებოდა საქმე. საღამოდის შეუჩერებლივ ატრიალეს ბორბალი. ეკელას ხალისი ეტყობოდა ამისთანა მარდი საქმიანობის დროს.

— რა კარგი რამ მოუგონიათ,—ამბობდნენ მუშები, და გახარებულები, რომ არ მოუნდათ ტიტველა ფეხებით ნავში დგომა და ეურმნის ჭყლეტა, მანქანას ძალას ატანდნენ— და რაც ეუთში ეურმენი არ ეტეოდა, ჯოხით სტენავდნენ.

უმეცართა ასეთი მოქცევა ვეღარ აიტანა მანქანამ და ბორბალმა ტრიალი შესწყვიტა.

ბევრს ეწვალნენ მუშები: ხან აღმა დაატრიალეს, ხან დაღმა, მაგრამ ვერა გააწყეს-რა.

— ეს რა მოუვიდა, კაცო, აღარა მუშაობს, მოიშალა; დაუძახეთ ჰატრონს;—დაიძახა მებორბლემ და თან შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე ბატრონიც შემოვიდა, დაათვალიერა მანქანა და ბრძანა გზავნა ზეინკალის დასამახებლად; თან მუშებს უბძანა ნავი მოემზადებინათ, რადგანაც მანქანის შეკეთება დაგვიანდებოდა და ეურძენი დასაწური დარჩებოდა. მალე ზეინკალი მოვიდა, გაშინჯა მანქანა და სულ დაშალა, რომ კარგად გაეკეთებინა. მანქანა ძალიან გაჯავრებული იყო და ამბობდა:

— ოჰ, ეს რა მიეკვეს, რად ჩამაგდეს ამ უცოდინართა ხელში, რად მომექცნენ ესე ჯიბრზედ, რომ ამათივე საწვალებელი გავხდი?

ნავი-კი სიცარულით ალარ იყო.

— გეუბნებოდით, ისევ მე მომნახავენ მეთქი. აკი ეველაფერი ახალი კარგიაო. ჩაგცხოთ თუ არა მანქანამ თავში. იმდენი ფული ცალკე ჩააყარეთ; და ამასთან, მანამ მე მომამზადებენ, მუშები მოსცდებიან.

ნავი სუფთად გარეცხეს, ჩააწყვეს ტუპკირები, ჩაუფინეს მწვანე ჩადუნა და ააკრეს გიშერეფით შავი საფერავის ეურძნით. მუშებმა დაიხადეს ფეხსაცმელი, დაიბანეს ფეხები, ჩადგნენ ნავში და დაუწყეს ეურძენს წურვა. ნავი კმაეოფილი იყო, ეურძნის წვენიც მხიარულად მირბოდა ხის ღარსე და წანწკარით ჩადიოდა ვეებერთელა ქვევრში. მუშები მხიარულად მღეროდნენ და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ეურძენს აჭერდნენ ფეხს, რომ მეტი წვენი გასვლოდა. ნავი-კი უკანასკნელ ღონეს ხმარობდა, რომ დაძვალი ძირი არ გაეგარდნოდა.

— რა დაგემართა, რასა ჰჭაჭუნობ, ნავო?—ჰკითხეს მოუხეშავმა ტუპკირებმა.

— დავბერდი, ჩემო ტუპკირებო,—უპასუხა ნავმა,—ჯერ თიოქმის ოთხმოცი წლამდის მაღლა მთის მწვერვალზე ვიცხოვრე. ერთ ბატარა ღრუბელსაც-კი არ გაურბენია, რომ ჩემს გვერდზე არ შეესვენოს; დიდი ქარები ხომ იხე მაქანებდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ლერწამს. მერე კარგა ხანი იქვე მოჯრილი ვიდგა, მანამ გამთლიდნენ ⁄ ჩამოძიტანდნენ. ახლა სამოცწელზე მეტი იქნება, რაც ამ მარანში ვარ... ეჰ, ბევრი კარგი დრო მინახავს... მაგრამ ხომ ასე დავბერდი, და მაინც უჩემოდ ვერ გამოდგებიან;—დაამთავრა კვეხნით ნავმა. ის-კი არ იცოდა, რომ რაკი მანქანას ეაკეთებდნენ, ეს ნავი დასაწვავად-ღა გამოდგებოდა. ამასობაში მანქანას გაუკეთეს სხვა მაგარი ბურღები, შეაკეთეს და დაიწყეს მუშაობა. მთელი ზვრის ეურძენი ძიგ დაწურეს. ყველანი მანქანას შემოჯხვეოდნენ, შინჯავდნენ, მოსწონდათ და უკვირდათ, რომ ასე მალე სწურავდა ეურძენს.

,,ტრა-ტა-ტა, ტრა-ტა-ტა,''—ჭრიალებს მანქანა.

,,მოიტათ ეურძენი, მოიტათ ეურძენი!''—ესმით ამ ჭრიალში მუშებს და მარდად მოარბენინებენ სავსე გოდრებს.

ე. ჭ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღორ-მუცელა.

(ზღაპარი—ხუმრობა).

(უძღვნი ვაწია დიომიდეს).

ეო და არა იეო რა, იეო ერთი ღარიბი გლეხი, ჰყავდა ცოლი და ერთად-ერთი შვილი. ძალიან ღარიბად სცხოვრობდა, მაგრამ მაინც გულს არ იტეხდა.

— ვენაცვალე ჩემს ვატარა ბიჭუკელასა,— ეტეოდა ხოლმე თავის ცოლს:—გაიზრდება, მოშეხმარება და ოჯასს ფეხზე დავაყენებთო!

მაგრამ დახეთ იმის ბედს! მისი ბიჭუკელა ძალიან ზარმაცი და, რომ იტყვიან, კუდით-საწევი გამოდგა. ამასთანავე საშინლად უყვარდა ჭამა. გაეღვიძებოდა თუ არა დილით, ჯერ ისევ ლოგინშივე დაიწყებდა ჭამას და საღამომდის, დაძინებამ—დის სულ სჭამდა. ამიტომ მხანაგებმა სახელად ,,ღორ-მუცელა'' დაარქვეს.

ჯერ, ვიდრე ვატარა იეო, დედ-მამა ანებივრებდა, სულ ,,გენაცვალეს'' შესძახოდნენ; ეგონათ, გაიზდება, ჭკუას ისწავლის და ამ ცუდ ხნე-ჩვეულებასაც მოიშლისო; მაგრამ იმანკი არ მოიშალა, უფრო უარესიც გახდა... თანდათან მადა ემატებოდა და რაც მეტსა სჭამდა, იმდენად უფრო შიოდა.

საქმე-კი საშინლად სძულდა. ან თამაშობაში ატარებდა დროს, ან კიდევ მწვანე ბალახებზე გორავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ მამამ უთხრა:

— შვილო, ახლა ჰატარა აღარა ხარ, წამოდი, მომეხმარე საქმეში, თორემ ლამის წელში გავსწედე მარტოხელა კაცი ამოდენა მუშაობითაო. ხვალ ეანის სამკელად მივდივარ, დილაზე ადრე ავდგეთ და წავიდეთო.

მეორე დღეს ღორ-მუცელამ წამოიკიდა საგზალი—ერთი ხურჯინი სავსე შოთი-ჰურები და გაჰყვა უკან მამას. გზა გძელი იყო. შვილს მოეწყინა ამდენ სიარულში და გულის გასაოლებლად დაუწყო ჰურს ჭამა. თვითო შოთს აძრობდა ხურჯინიდან და ნელ-ნელა მიირთმევდა. ვიდრე ეანამდის მივიდოდნენ, ჰური სულ გაათავა.

როდესაც მივიდნენ, მოიხადა ცარიელი ხურჯინი და დაადგო მიწაზე.

— ბიჭო, ცარიელი ხურჯინი რატომ წამოგიღია,—უთხრა მამამ:—საგზალი რა უყავი?

— მამავ, სიჩქარისგან შინ დამრჩენია და ცარიელი წამოგიღია ეს ხურჯინი. ამ საათში გავიქცევი და მოვარბენინებ.

შინ რომ მივიდა, ახლა დედა მოატეუა:

— მამამ დამაბარა: ეს არა კმარა, კიდევ წამოიღეო.— აავსო ხელმეორედ ხურჯინი საგზლით, ჩააწყო, რაც-კი ეგულებოდა: ჰური, ყველი ბ სხვა ხორაგეული—და გაუდგა გზასა.

მხოლოდ ეანისკენ-კი არ წავიდა... სოფლის ბოლოს ტეე იწყებოდა. იმ ტეის ჰირში იდგა დიდი მუხა. ,,აი ამ მუხის ქვეშ მოუხდება ქეიფობაო''—იფიქრა თავის გულში. მოიხადა საგზალი, გაშალა სუფრა და მოულხინა. როდესაც კარგად გამოძღა, გამხიარულდა და მრავალჟამიერი შემოსძახა.

,,ღმერთმან ინებოს'' რომ მღეროდა, სწორედ ამ დროს წამოადგა მამა შინდის სახრით. ოურმე საწყალს მოსწყენოდა ლოდინი, თან მოშივნოდა კიდეც და წამოსულიყო შვილის სიძებრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰაი შე ასეთ-ისეთო, მე იქ გელოდები მშიერ-დაბა შენ-კი აქ ქეიფობ?..— მიაყოლა შინდის სახრე, ერთი თუ ორი!.. ურტყა და ურტყა! გამოიგდო შინისკენ ჩვენი ღორ-მუცელა. დედამაც შინ ორიოდე მუჯლუგუნი უთავაზა, მაგრამ რადა იქნებოდა.

დაღონდა დედ-მამა. ბევრი იფიქრეს: რა მოვახერხოთ, რა საქმეზე დავაყენოთ ჩვენი ღორ-მუცელა, რომ კაცი გახდეს და ეს სამაგელი ზნე-ჩვეულება მოიშალოსო. ბოლოს მამამ სთქვა: ,,მოდი, მჭედელთან დავაყენებ, იქ ხელობასაც ისწავლის და მგონი სასუსნავსაც ვერასა ნახავს და ეგებ გადაეჩვიოს ღორ-მუცლობასაო. ნათქვამია: ,,ძაღლი სამჭედლოდან რას წაიღებ-სო?'' ასეც მოიქცნენ. მჭედელმა ახედ-დახედა ღორ-მუცელას, მოეწონა და უთხრა იმის მამას:

— კაი მხარ-ბეჭიანი ემაწვილი ჩანს; იმედია, კარგად იმუშავებს და ძალეც ისწავლის ხელობასაო.

პირველ ხანებში ღორ-მუცელა ხალისიანად სცემდა გრდემლს გახურებულ რკინას და უხაროდა, რომ ნაპერწკლები ბლო-მად გადადიოდა აქეთ-იქით. მაგრამ მალე მოსწყინდა. მეტადრე კუჭი არ აძლევდა მოსვენებას. მიბრუნდებოდა საითმე თუ არა მისი ოსტატი, ან გარედ გავიდოდა, ღორ-მუცელა მაშინვე დასდებდა გრდემლს, ხელებს ზურგზე დაიწყობდა და ერთი საცოდავად ამოიოხრებდა.

— აჰ, ნეტავი ახლა ბლომა საჭმელი მომცა, რომ ეს მუცელი ამოვხოროვო

ერთხელ ოსტატი სადღაც წავიდა ცოტა ხნით. ღორ-მუ-ცელა მარტო რომ დარჩა, ჩვეულებისამებრ დაიწყო ხელები ზურგზე და მიეცა ოცნებას.

— ნეტავი ახლა, მეტი არა მინდა რა, რაც აქ რკინე-ულობა არის, სულ მსუქან-მსუქან ღორის ხორცის ნაჭრებად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქცეს!.. ერთი ლაზათიანად გავმღებოდი და მერე რაც უნდა მომხდარიყოფო...

აუსრულდა ღორ-მუცელას ნატვრა! საითაც მიიხედავს, სულ მოხარშული და შემწვარი ხორცის ნაჭრები აწევია.

სულ ერთიანად დაელაპა და კარგადაც გამოძღა. მაგრამ სადღაა რკინეულობა? აღარც გრდემლები, აღარც ბარები და წერაქვები... მერე რამდენი რამე ეწეო, სულ ახლად გაკეთებული!

ამასობაში თვითონ ოსტატიც მოვიდა. მიიხედ-მოიხედა და სასტად დარჩა.

— კაცო, რამ გამოაცარიელა აქაურობა? რა იქნა რკინეულობა?—ეკითხებოდა ოსტატი თავის შეგირდს.

— რა ვიცი მე, რა იქნა! მე ხომ არ შევჭამდი შენ რკინებს!

— ამ წუთში ეველაფერი აქ იყო და მაშ საით გაქრა?— არა ცხრებოდა ოსტატი.

მაგრამ, რომ ვერაფერს გახდა და ვერა გაიგო-რა, იფიქრა: ალბად გაუქურდივარ ამ ბიჭს: ვისმეს გაატანდა, გაჰყიდდაო. აიღო და კინწის-კვრით გამოაგდო ღორ-მუცელა თავის საჭედლოდან.

დედ-მამას ელდა ეცა, როცა დაინახეს შინ დაბრუნებული ღორ-მუცელა. ,,ალბად იქაც გააფუჭებდა რასმეს ჯ გამოაგდებდნენო,''—გადასწყვიტეს თავიანთ გულში, მაგრამ შვილს-კი არაფერი უთხრეს. უფრო იმაზე სწუხდა საცოდავი დედ-მამა—რით გავამღოთ, რა ვაჭამოთ, რომ სახლში არაფერი გვაბადიაო. მაგრამ რას იზამდნენ, ხომ ვერ გააგდებდნენ შვილს?..

იმ ღამეს, როგორც იყო, მოუხერხეს მცირე ვახშამი და დააძინეს. მეორე დღეს მამამ უთხრა:

— შვილო, დღეს ჩვენ მეზობლიანთ რთველი აქვთ, ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახსა ჰკრეფავენ, კაცები სჭირდებათ საშველად; დილას დადიოდნენ და კითხულობდნენ; კარგს დღიურს ფასსაც იძლევიან. წადი და უშველე, ეგებ ცოტაოდენი ფული აიღო, თორემ ხომ ხედავ ჩვენ გაჭირვებას!..

,,მართალია, ცოტა ს ხარბე იცის ჭამაში ჩემმა შვილმა, ფიქრობდა მამა მისი: მაგრამ ჩვენი მეზობელი შემლებული კაცია, დიდი ვენახები აქვს და იმდენი რა უნდა დააკლოს ე ბიჭმა, რომ იმაზე გაჯავრდნენო.“

ღორმუცელას ვენახისა და ეურძნის გაგონებაზე კბილებმა კაწკაწი დაუწყეს. წამოხტა, მარდად ჩაიცვა და გასწია მეზობლიანთსა.

მთელი დღე სულ სჭამდა ეურძენს, მაგრამ არ იქნა და ვერ გაძღა... მერე ეურძნის კრეფას თავი დაანება, მიეიდა საკუთარ გოდრებთან და დაუწყო ელაპარაკა ეურძენს. რაც მეტსა სჭამდა, უფრო მეტი უნდებოდა. ბოლოს მოსწყინდა თვითოთვითო მტევნის ამოღება, აიღო გოდრიანად და მოიეუდა ბირზე. ასე გამოცალა მთლად, რაც საკუთარ გოდრები იყო.

ეურძნის მკრეფავები მოდიოდნენ და სახტად რჩებოდნენ:

—რა ექნა, ამ გოდრებს რა მიწის მგელი გამოუვარდათ, ჩვენ ვაკუთებთ და ესენი-კი ისევ ცარიელებიაო!..

ბოლოს ვედარა გაუწყეს-რა და კაცი დააყენეს ყარაულად:

ყარაულმა სწორედ იმ დროს მიატანა, როცა ღორ-მუცელას გოდორი მოეეუდებინა ბირზე და ისე ულაპარაკა ეურძენს.

ყარაულმა სტაცა ხელი ჩვენ ღორ-მუცელას, დაუძახა სხვა მეზვრეებსაც და ისე დაუზილეს გვერდები, იმდენი სცემეს, სანამ მე და შენ მიეეშველებოდით, ჩემო ბატარა მკითხველო.

მერე, როგორც იყო, გაუსხლტათ ხელიდან და უშველა თავსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარა-გზაზე გამოვიდა; ამასობაში გულიც დაიმშვიდა; ამ დროს დაინახა ურემი, რომელზედაც ეურმნით სავსე გოდრები ედვა. ურმის თავზე უჯდა მეურმე და საწნახელისკენ მიჰქონდა. ამ ურმით ეზიდებოდნენ ეურმენს და საწნახელში სცლიდნენ.

ღორ-მუცელამ რომ დაინახა, ჰირში ნერწყვი მოადგა, მიუახლოვდა ურემს, ერთი დაადო ჰირი და მთლად გადაულაჰა ურმიან-ხარებიან-მეურმიანად. იმას მარტო ეურმნის შეჯმა უნდოდა, მაგრამ ეს უცაბედად მოუვიდა. ახლა-კი გაებერა მუცელი და ძლივს-ღა მოათრევდა. უფრო საქმეს უჭირებდა ერთი გიჟი მოზვერი, რომელიც წინა უღელში ება. მას არ მოეწონა მუცელში ჩაძრომა და ხან აქ ამოჰკრავდა რქას და ხან იქა.

ღორ-მუცელამ ვეღარ შესძლო სიარული, გაიშოთა შუა გზაზე, გაბერილი მუცელი ზევით მოიქცია და მორთო საცოდავად ხვნეშა.

იმის მამას მოუტანეს ამბავი: შენი შვილი შუა გზაზე გდია და ხვნეშისო.

მივარდა მამა გულ-გახეთქილი, მაგრამ აბა რას უშველიდა! დაესივნენ ბლომად კაცები; ასწიეს ⁄ წაიღეს ექიმთან.

ექიმმა მაჯა გაუსინჯა, გაბერილ ფაშვზე ხელი დაჰკრა, მაგრამ ვერა შეატეო-რა; მერე ეური დაადო მუცელზე; უცებ ეურში რაღაც მოხვდა მაგარი და წამოვარდა ზეზე.

— ეს ოხერი, ასე გონია ხარმა რქა ამომკრა ეურშიო, ისე მომხვდა!

ხალხი-კი ამბობდა: ექიმი სულელი ხომ არ არის, მუცელში ხარს რა უნდაო.

მეორედ კიდევ დაადო ეური და მოესმა:

— ჭარი-ჭარალი-არალო-ო-ო... და-ა-ა... ჭამო, ჭო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხალხნო შიგ მეურმე ზის და ურმულს დასძახის!.. — დაიყვირა ექიმმა.

— მუცელი უნდა გაუჭრათ, სხვა არა ეშველება-რაო, — სთქვა ექიმმა.

გაუჭრეს მუცელი და ეველანი გაოცდნენ. მეურმე ისევ ისე კოფოზე იჯდა და „ჭარი-ჭარალეს“ დასძახოდა, თან გიჟ მოზვერს შოლტს უტელაშუნებდა.

— უჰ, რამდენი ხანი მოვცდიო, — სთქვა მეურმემ, გაირეკა ხარები და გასწია საწნახელისკენ.

ექიმმა უთხრა ღორ-მუცელას:

— სიტყვა მომეცი, რომ შენს ღორმუცლობაზე ხელს აიღებ და საქმეზე დადგები, თორემ ამ გაჭრილ მუცელს ასე დაგიტოვებ, არ მოგარჩენო.

ღორმუცელა შეეხვეწა:

— ოღონდ მომარჩინე, და გეფიცებით, ამას იქით სულ სხვანაირად მოვიქცევი და ღორმუცლობაზედაც სრულიად ხელს ავიღებო.

ექიმმა მოარჩინა. ამის შემდეგ ღორმუცელა სრულიად გამოიცვალა. მიებარა ზეინკალს და მშვენივრად შეისწავლა ზეინკლის ხელობა. დაუნიშნეს კარგი ჯამაგირი და ახლა თვითონ ინახავდა დედ-მამას.

საჭმელს ახლა წონით სჭამდა, რომ მეტი არ მომიყიდესო, და ამისათვის ჰატარა სასწორი სულ ჯიბით დაჰქონდა.

გიორგი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედა თაგვის დარიგება.

ხედავთ, შვილო, იმ ხვად კატას,
ეშმაკურად რომა ხვრინავს?
ახლოს არვინ გაეკაროთ,
არ გეგონოთ—ვითომ სძინავს.

გაიძვერობს ეგ საძიწე,
განგებ ჭსუჭავს ორსავ თვალებს;
დროს იხელთებს, და ვაი თქვენ,
თუ რომ მოხვდით იმის ბრჭყალებს!

თვით ჩვენ დევ-გმირ ვირთაგვებსაც
ხშირად იჭერს... აწრიპინებს;
შესუნსლავს და თვალთმაქცურად
განგებ ისევ მიიძინებს.

მაშ გაფრთხილდით, გენაცვალეთ,
ემანდ არვინ შეგიწიროთ;
და საბრალო დედა თქვენი
ცხარე ცრემლით არ ატიროთ.

გ. ქუჩიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუქთა ხორა მცენარეები.

ცენარე ცოცხალი არსება არის; მის სიცოცხლისათვის უპირველესად ეოვლისა საჭიროა საზრდო, საჭმელი. იქნება ეველამ არ იცის, როგორ იკვებება მცენარე ⁄ გგონიათ, რომ ეს ადვილად ხდება. თავის გამოკვება ძრიელ რთული საქმეა; ამ საქმეს ერთად, თანხმობით ასრულებენ მცენარის სხვა-და-სხვა ნაწილები.

ეოველი მწვანე მცენარე, ვეებერთელა მუხა იქნება იგი, თუ ჰაწაწკინტელა ბალახი, შესდგება სამი უმთავრესი ნაწილისაგან: ძირებისა, ანუ ფესვებისაგან, ღეროსა და ფოთლებისაგან. ეველა ესენი სწვეენ განსაზღვრულ სამსახურს: ერთად, ძმურად აკეთებენ ეველაფერს, რაც-კი საჭიროა მცენარის სიცოცხლისათვის. ფესვები ჩასულია ნიადაგში, სადაც ასრულებენ ორ უმთავრეს დანიშნულებას მცენარეთა ცხოვრებაში. პირველი ისაა, რომ ფესვების შემწეობით მცენარენი მტკიცედ არიან დამაგრებულნი ნიადაგზე; მეორე — ფესვებზე ძრავალი ბუსუსები ასხია; ეს ბუსუსები სრუტავენ ნიადაგიდან სითხეს, რომელშიაც გახსნილია მცენარეთათვის საჭირო ძრავალი სხვა-და-სხვა ნივთიერება. ეს სითხე ძირებიდან გადადის ღეროში, ღეროდან — ტოტებში და ფოთლებში.

იმ დროს, როცა ფესვები ამ შრომას ეწევიან, არც ფოთლები არიან უსაქმოდ. ესენი ჰაერიდან ითვისებენ ერთგვარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭმელს, ურომლისოდ მწვანე მცენარეს არსებობა არ შეუძლია. ეს საჭმელი არის—ნახშირ-მჟავე. ნახშირ-მჟავე ჰაერგვარი ნივთიერებაა: ის უხილავად ურევია ჰაერში; ის ჰაერგვარია, რომელიც ლუდს და სხვა-და-სხვა ხილის წყლებს აქაფებს, და სასიამოვნო გემოს აძლევს. უთუოდ შეგინიშნავთ აფუებულ ცომზე ბუშტები; ამ ბუშტებში ნახშირ-მჟავეა, რომლის წყალობით ცომი ფუვდება.

რა ადუღებს ტკბილს საწნახელში? იგივე ნახშირ-მჟავე. სწორედ ეს ჰაერგვარია აუცილებელი მასალა მცენარის სიცოცხლისათვის. როგორ იჭერს ფოთოლი ნახშირ-მჟავეს? ფოთლებს ქვედა მხარეზე მრავალი ნახვრეტები აქვს; ამ ნასვრეტებში შედის ნახშირ-მჟავე. ფოთლებში იკრიბება ჰაერიდან ნახშირ-მჟავე, ფესვებიდან-კი წყალი; აქ, ესე იგი ფოთლებში, ეველა ეს გადაკეთდება, გადასხვაფერდება და მკვებავ წვენად იქცევა. ეს გადაკეთებული წვენი ფოთლებიდან ისევ ქვევით ბრუნდება და მთელ მცენარეს ასაზრდოებს. ამგვარად ეველ მწვანე მცენარე საზრდოს ჰოულობს ჰაერში და ნიადაგში, შემდეგ-კი ამ ნედლ, უმ მასალას გარდაქმნის ფოთლებში.

მაგრამ ეველა მცენარე თავის ძირებს მიწაში არ უშვებს და იქიდან საზრდოს არ იღებს; არიან ისეთი საბრალონი, რომელნიც უსსოვარ დროიდან შეჩვეულან სხვისი ნაშრომით თავის შენახვას. ამგვარ მცენარეებს მეცნიერებმა ,,პარაზიტები''—მუქთა ხორები უწოდეს; იმ მცენარეს-კი, რომლის ხარჯით ,,პარაზიტი'' საზრდოობს, ,,მასპინძელი'' ეწოდება.

ხვართქლა სვიას შემოხვევია.

გავიცნოთ რამდენიმე ამგვარ მცენარეთაგანი. ავიღოთ თითქმის ეველასაგან ცნობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სვია, რომელსაც გურია-იმერეთში ფშალას ეძახიან. ეი თქვენ წინ სურათზე სვიის ტოტია; მას შემოხვევია მეორე რაღაც მცენარე; თითქო მისი დიდი მოუვარული ძმა-მეგობარი იყვეს; არა თუ მეგობარი—მისი მოსისხლე მტერია. ეს არის ხვართქლა.—რა უნდა მას სვიასთან, საიდან გაჩნდა ასე ახლოს მასთან?—იკითხავთ თქვენ. ხვართქლას რამდენიმე თესლი ეყარა მიწაზე, დამპალ ფოთლებში; აქ თესლი მზისა და სინესტის წყალობით გაღვივდა და ამოა-



ხვართქლა ამოდის და იზრდება ამ ნაირად.

გდო ზევით ძაფივით წვრილი ღერო. იზრდება ღერო, ერთ კვირაში გოჯზე მეტი გაიზარდა, მაგრამ ახლა-კი ერთობ დიდ გაჭირვებაში ჩავარდა: ღეროს არ შეუძლია ასაზრდოვოს თავის თავი; ის უთუოდ მალე დაჭკნება, თუ მშველელი არ გაუჩნდა. იცდის ხვართქლა ერთი, ორი კვირა. მეტი აღარ შეუძლია, არაქათი გამოელია, დასუსტდა; მაგრამ აი მის ბედზე იქვე ახლო თურმე სვია იზრდება. შემოეხვია ხვართქლა სვიის ღეროს და მოიბრუნა სული.—ახლა აღარ დაიღუპება, არ მოკვდება შიმშილით. მაგრად ეხვევა სვიას, ალაგ-ალაგ გამოუშვებს საწუწნავ ისრებს, ჩაუერის სვიას ღეროში; აქ საზრდო ბლომად დახვდება სვიისაგან დამზადებული; ხარბად ეტანება დაუპატიჟებელი სტუმარი, იზრდება, მაღლა-მაღლა მიდის და უსპობს სიცოცხლეს სვიას.

ხვართქლას არ შეუძლია მოინელოს ნედლი საჭმელი; იგი უსათუოდ სხვა მცენარის სხეულში მოხარშული უნდა იყოს. აი ამისთვის უცდიდა სხვას და კიდეც შეეხიზნა. ამნაირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვართქლა შეიქნა მუქთა ხორა; სვია-კი—მისი გულუხვი ,,მასპინძელი.

ეი დაუკვირდით მესამე სურათს: იგი გიჩვენებთ სვიისა და ხვართქლას ღერეების შინაგან აგებულებას. ეს დიდი სვიის ღერია; გვერდზე მიკრულია ხვართ- ქლა. ხედავთ, რო- გორ ჩაუფეია ხვართქლას საწუწნავები სვიის ღეროში!



სვიის ტოტზე ხვართქლა. სვია გადაპრილია; ხვართქლა შუაზე გაპრილია, ზევიდან ქვევით.

საბრალო სვია ჭკარგავს ძალ-ღონეს, აღარ იზრდება და ძალე სულ იღუ ჰება. ,,მასპინძელის'' სიკვდილი არც სტუმარს აერის ხეირს. რითი ისაზრდოოს სტუმარმა, თუ მასპინძელს საზრდო გამოელია, ან მოკვდა?

კარგად გაზრდილი ხვართქლა გამოიღებს ყვავილებს, რომლებიც ნაოფებად იქცევიან; ნაოფში თესლია მოთავსებული. მწიფე ნაოფი სკდება; იქიდან სცვივა მიწაზე თესლი. ვინ იცის-რა ბედი მოელის თესლს? იქნება ჩიტმა აკენკოს; იქნება დალპეს; იქნება გაღვივდეს, მაგრამ ,,მასპინძელი'' ვერ იშოვოს და მოკვდეს; ეს ყველა დამოკიდებულია შემთხვევაზე: თუ შემთხვევა მოიტანს და ,,მასპინძელს'' იშოვის—ხომ კარგი, თუ არა და დაიკარგება თესლი.

ხვართქლა ბევრნაირია: ზოგი ეტანება იონჯას და სრულიად აფუჭებს ბალახს; ზოგი სელს ეხვევა და სელის მოსავალი სრულიად ფუჭდება. ხომ იცით, რა საჭირო მასალაა იგი ტილოს ქსოვილებისათვის.

ილია ნაკაშიძე.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოცანა-გამოცანები

I

15 თანასწორ ჩხირი (გნებავთ ასანთი) დაწყვეთ გააკეთეთ სუთი თანასწორი ოთხკუთხი; შემდეგ გამოაცალეთ სამი ჩხირი ისე, რომ დარჩეს მხოლოდ სამი ტოლი ოთხკუთხი.

II

რამდენი კატაა?

ოთახს აქვს ოთხი კუთხე. ეოველ კუთხეში ზის თითო კატა. თითო კატის ჰირდაპირ ზის სამ-სამი კატა. კატის კუდზე ზის თითო კატა.

სულ რამდენი კატაა ოთახში?



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშმაკი მგელი.



მგელმა თვალი მოჰკრა მონადირეებს და ადარ იცოდა — როგორ დაეხწია თავი... უცებ საბედნიეროდ დაინახა ძაღლის ბუნაგი და ჯაჭვზე—საუკეთური.



შეჭეო თავი საუკეთურში და, ვითომც აქ არაფერია, არხეინად მოიკალათა. მონადირეებს ძაღლი ეგონათ და გაუდგნენ თავიანთ გზას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებუსი



" ვ

" რ

,

,

დედაშენის ქალიშვილი რაა შენთვის?

ჩ
ნ

" პ

,

მე-20 №-ში მოთავსებულ შარადისა და რებუსის ალსნა:

1) ტეემალი. 2) ძაღლი წევს და კუდი ღრინავს.

რედაქტორი: **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

„ნაკადული“-ს რედაქციაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

1) **ტომის თავგადასავალი,**—თხზ. მარკ ტვენისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა, ფასი. . . . . 50 კ.

2) **რას გვიამბობს ოთახი,**—თხზ. ავენარიუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი. . . . . 20 კ.

3) **დასურათებული ასაწყობი ანბანი,**—ფასი. . . 1 მ. 20 კ.

4) **სკრუჯი და მარლეი,**—საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . 25 კ.

5) **დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები** ჰ. ქ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი . . . . . 30 კ.

6) **ბავშვობა და სიყრმე,**—მოთხრობა ლევ. ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . 60 კ.

7) **ორი მხატვარი,**—თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . 15 კ.

8) **სამშობლო ბუნების სარკე,** დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები,—ივანე ელიაშვილისა, ფასი. 30 კ.

9) **შობა,** მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, — ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 5 კ.

10) **ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი—ეგოისტი,** ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაჭავარიანისა, ფასი . . . . . 5 კ.

11) **დათო,** — ირ. ევდოშვილისა, დიდების მაძიებელი, თარგმ ალ. შანშიაშვილისა, ფასი . . . . 5 კ.

12) **მოთხრობები,**—ლაგერლეფისა და სხვა უცხო მწერლებისა . . . . . 5 კ.

13) **იგავ-არაკნი,** — 125 დასურათებული, პატარა მოთხრობა, ავტორის სურათით, ალ. მირიანაშვილისა, ფასი. . . . . 75 კ.

მიიღეგა ხელის მოწერა

1914 წლის

„ნაკადულზე“

ეროვნული ბიბლიოთეკა